ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 138

25 მაისი
"___" _____ 2018 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ პირს - შპს "კონსალტინგ გრუპს" (უფლებამონაცვლე: შპს „სითი ბოქსი", ს/კ: 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ზ" ქვეპუნქტის და ამავე კოდექსის 127[2] მუხლის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ პირს - შპს "კონსალტინგ გრუპს" (უფლებამონაცვლე: შპს „სითი ბოქსი", ს/კ: 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 16 მაისის N18.317.569 განკარგულების შესაბამისად, შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ პირს - შპს "კონსალტინგ გრუპს" (უფლებამონაცვლე: შპს „სითი ბოქსი" ს/კ: 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში და ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1.6 პუნქტიდან ამოღებულ იქნას 2.1.6.4, 2.1.6.8, 2.1.6.9 და 2.1.6.11 ქვეპუნქტები.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**